

შეხვედრა მარინა აბულაძესთან

ძალიან ბევრი აბულაძეა, რომელთა შესახებაც მაქვს ინფორმაცია და ვიცნობ მხოლოდ დაუსწრებლად, ვცდილობ მათთან შეხვედრას. ერთ - ერთი ასეთი იყო ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. 94 ბინა 12-ში მცხოვრები მარინა აბულაძე, მაგრამ მასთან შეხვედრა არ ხერხდებოდა. უმეტესწილად ბინა დაკეტილი იყო.

აგვისტოში ვისვენებდი ჩემს მშობლიურ სოფელ ვაშლოვანში და ამავე დროს გამზადებდი აბულაძეების შეხვედრას ხულოს რაიონში. 31 აგვისტოს, დღის მეორე ნახევარში ვსტუმრობდი იქვე ახლოს მცხოვრებ ბიძაშვილს, მეუღლემ დამირეკა და მეუბნება სტუმრები გვყავს და გელოდებითო. სახლს რომ მივუახლოვდი, ეზოში კაკლის ჩრდილში შევნიშნე უცნობი ქალბატონი და ბავშვები. სხვებთან ერთად, მეუღლე მაცნობს მათ და მეუბნება: ეს ქალბატონი შენი ბიძაშვილია, ქართლიდან მარინა აბულაძე.

გადავეხვიეთ ერთმანეთს, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს წლების განმავლობაში ვიცნობდი სტუმარს. სახლში შევიპატიუე, არაო, მითხრა. მშვენიერი ზაფხულის ამინდი იყო, ჩამოვჯექით კაკლის ჩრდილში. მარინა გვიყვება, ის სტუმრად არის ვაშლოვანში, ჩემი მეუღლის ბიძაშვილ რაულ ბოლქვაძესთან, რომ გაიგო ამ სოფელში კომპაქტურად დასახლებული აბულაძეები ცხოვრობენ და აბულაძეთა საგვარეულო კავშირი ამზადებს აბულაძეების შეხვედრასო, გადაწყვიტა, გვსტუმრობდა და გაგვცნობოდა. მან მოგვითხრო თავისი გვარის წარმოშობის შესახებ. დაადასტურა, რომ აბულაძეების წარმოშობის ადგილი სამცხე - ჯავახეთია, კერძოდ, აბულის მთის ძირში სოფელი აბულიდან. თვითონ ქართლიდანაა, მისი წინაპრები გორში, იმერეთიდან ჩასულან. მარინა დაიბადა ქ. გორში, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №94 სახლში. ვეუბნები ბინა 12-ში ხომ, ჩავერთე საუბარში, გაიკვირვა საიდან ვიცოდი, მაგრამ იქვე აუხსენი საქმის არსი. შამსახურეობრივი ინფორმაციით. ადამიანი, რომელსაც წლების განმავლობაში ვეძებდი, ჩემს წინ იდგა, ჩემს მშობლიურ სოფელში სტუმრად იყო და მესაუბრებოდა. მესიამოვნა, რომ ქალბატონ მარინას დიდი ინტერესი აღმოაჩნდა თავისი გვარის წარსულისადმი და დაინტერესებული იყო ისტორიის ცოდნით, ის საკმაოდ ფლობდა გვარის შესახებ ინფორმაციებს. მარინა პროფესიით ექიმა, ქურდაძეების გვარშია გათხოვილი და სამი ქალიშვილის დედაა.

ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, გაეცნო აბულაძეების გვარის წესდებს, ღერბისა და დროშის ესკიზებს. სამცხე-ჯავახეთში მოგზაურობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალებს. გამოხატა კმაყოფილება და სურვილი ითანამშრომლოს, გახდეს საგვარეულო კავშირის წევრი. გავცვალეთ მისამართები და ტელეფონები, ვისადილეთ და შევთანხმდით, რომ შევხვდებოდით ქ. ბათუმში, სადაც ის გამაცნობდა თავის მამას, გიორგი აბულაძეს, რომელიც დაინტერესებული ყოფილა გვარის ისტორიით და საინტერესო ინფორმაციებს ფლობსო. დავემშვიდობეთ და მომავალ შეხვედრამდე ვუსურვეთ ერთმანეთს.

ვახტანგ აბულაძე.

31. 08. 2007 წელი